საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 3-130 27.05.2024

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ნინო ძიძიგურის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განსაზღვრის თაობაზე

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N375 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების“ მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად ამავე სამსახურის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი ნინო ძიძიგური.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს დაევალოს უზრუნველყოს:
   2.1 მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაცია და მეთოდური დახმარების გაწევა;
   2.2 მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი;
   2.3 მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;
   2.4 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან

ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენა და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;

2.5 მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

2.6 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულება.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას ანგარიშვალდებულია საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის წინაშე.
4. დაევალოს საქსტატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია.
5. დაევალოს საქსტატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.
6. ბრძანება გაეცნოს ყველა მასთან დაკავშირებულ პირს.
7. ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივნისიდან.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი